№ 189

ხუთშაბათი, 3 სექტემბერი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 189

ხუთშაბათი, 3 სექტემბერი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ დერაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია" ღირს 4 მან. 75 კაპ.

**მღვდელი აპოლლონ ხარიტონის ძე გოდერძიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებს რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას თვისის მეუღლის

**მარიამ იოსების ასულის გოდერძიშვილისას**

სთხოვს მობრძანდნენ ხუთშაბათს, 3 სექტემბერს, დილის 9 საათზედ, ნავთლუღში, რეიტერის ქუჩაზედ, საიდგანაც განსვენებულის გვამს წაასვენებენ წირვის და ანდერძის გარდასახდელად და დასაკრძალავად წმ. ბარბარეს ეკკლესიაში. (2—132—2)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

პ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11½—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

სადამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

პ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოშ. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

## მთავრობის განკარგულებანი

—

უმაღლესი სახელ დებული ბრძანება.

გზათა უწყების მინისტრს.

ნება დავრთეთ რა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ჭიათურის შტოქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფ. დარკვეთამდე იქმნას განგრძობილი, გიბრძანებთ: 1) მოახდინოთ ჯეროვანი განკარგულებანი, რომ სრულიად ჩამოერთვათ და ან დროებით იქმნას დაჭერილი ამ საგნისათვის და ჭიათურის სადგურის გასაფართოებლად მიწები, მისის კუთვნილებითურთ, რაოდენობით თხუთმეტ დესიატინამდე, და აგრეთვე საჭირო შემთხვევაში დაადგინოთ უფლება ამა მიწებით კერძო სარგებლობისა; 2) მფლობელნი დაჯილდოებულ იქმნენ საზოგადო კანონდებულებათა საფუძვლით, რომელიც დადგენილია მთავრობის განკარგულებით ჩამორთმეულ მამულთა შესახებ, და 3) რადგან სააღმშენებლო მუშაობანი დაუყოვნებლივ უნდა იქმნას დაწყებული, დაჭერილ იქმნას ხსენებული მიწები აღწერილობათა შედგენისათანავე, რომლის დროსაც დაცულ უნდა იქმნას წესები, აღნიშნული სამოქალაქო კანონთა მე. 594 და 595 მუხ. (კანონთა კრებ. ტ. მე-X, ნაწ. I 1887 წ. გამოცემ.).

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნიკოლოზი".

ცარსკოე სელოში.

8 ივნისს 1898 წლისას.

—

კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარ მართებლის ბ-ნ კავკასიის მხრის გუბერნატორთა მიმართ 1898 წლის 1 სექტემბრის მე-9692 №-რით წარგზავნილ საყოველთაო მიწერილობის პირი.

ადგილობრივ გუბერნიის უფროსთაგან ავაზაკობისა და ძარცვის შესახებ ჩემ მიერ მიღებულ მოხსენებათაგან ვხედავ, რომ პოლიციის მოხელეთა მოღვაწეობა ავაზაკთა დევნის საქმეში საკმაოდ სუსტდება იმის გამო, რომ ერთის მაზრის პოლიციის მოხელენი მეზობელ მაზრათა პოლიციის მოხელეებთან სრულიად შეუკავშირებლად ჰმოქმედებენ და არ აცნობებენ თავისს დროზედ იმათ, რომ ავაზაკები გამოჩნდნენ და მათდა სადევნელად ეს და ეს ღონისძიებანია ხმარებული. ამასთან შევნიშნე, რომ პოლიციის მოხელენი ხშირად ასტეხავენ ხოლმე ერთმანერთ შორის უსაფუძვლო კამათს და სცდილობენ დაამტკიცონ, რომ ბოროტ-მოქმედება ჩვენდა რწმუნებულს ნაწილში არ არის ჩადენილი. ამ დროს, აშკარაა, უმოქმედობას იჩენენ, რასაც დიდად მავნებელი გავლენა აქვს ავაზაკთა წარმატებით დევნის საქმეზედ.

ვდებ რა ამ მხარეში ავაზაკობის მოსპობას პირველ-ხარისხოვან მნიშვნელობას და მივაქცევ რა ამა საქმეზედ ამიერ-კავკასიის მხრის ბ-ნ გუბერნატორთა განსაკუთრებულს ყურადღებას, წინა დავუდებ, რომ, ამის მიღებისათანავე, დაუყოვნებლივ მისწერონ ქალაქისა და მაზრის პოლიციის უფროსებს, რომ მათ იმ საათსავე, მიიღებენ თუ არა ცნობას მათდა რწმუნებულს ნაწილში ავაზაკთა ბრბოს ანუ განმარტოებულ ბოროტ-მოქმედთა გამოჩენის შესახებ, ესე ამბავი დაუყოვნებლივ აცნობონ მეზობელ პოლიციის უფროსებს და აცოდინონ აგრეთვე რა ღონისძიებანი აქვთ ხმარებული ამ ბრბოთა მოსასპობად და რა მხრივ დაუწყებენ დევნას. ეს ამბავი უნდა აცნობონ დეპეშით ან საგანგებო კაცის ხელით. ხოლო როდესაც ავაზაკთა დევნას დაიწყებენ, ერთის მაზრის საზღვრამდე დევნით არ იკმარონ, იგი უნდა განაგრძონ მეორე მაზრაშიაც იმ დრომდე, ვიდრე საშემდეგოდ დევნის საქმეს ადგილობრივს პოლიციას ჩააბარებენ. გუბერნიის საზღვართა შორის რაც ავაზაკობა და ძარცვა მოხდება, მაცნობეთ დეპეშით და იქვე მოკლედ იყოს განმარტებული, რა ღონისძიებანიც არის ხმარებული.

დასასრულ გიხოვთ გააფრთხილოთ ადგილობრივ პოლიციის უფროსნი, რომ თუ ვინიცობაა უმოქმედობა გამოიჩინეს ანუ დაუდევრობა ავაზაკთა დევნისა და დაჭერის საქმეში, პოლიციის მოხელეთ სასტიკად მოვკითხავ და, როგორც უნიჭოდ, დაუყოვნებლივ დავითხოვ სამსახურიდგან.

ხელი აწერია: სენატორი, გენერალ-ადიუტანტი თავადი

## ახალი ამბავი

—

*** პროფესორი ნენცკი და ბეითალი ბ-ნი ვენიკეევი ჩამოვიდნენ

---

# ფელეტონი

—

## დესპინე და ნიკო

მოთხრობა

(შემდეგი *)

II

ვიდრე ჩვენს ამბავს განვაგრძობდეთ, საჭიროდა ვთვლი უფრო დაახლოვებით გავაცნო მკითხველს დესპინე. ის იყო ასული აზნაურის ქაიხოსრო ძველ-გულაძისა. „იმ კურთხეულ ბატონ-ყმობაზე", როგორც თითონ იხსენიებდა ხოლმე იმ დროს ქაიხოსრო, კაი შეძლებული ოჯახის პატრონი აზნაურიშვილი იყო; მიწა-წყალიც ბლომადა ჰქონდა და არც ღვთის მოცემული, ან, უკეთ რომა ვთქვათ, იმ ცხონებულ წინაპართაგან დატოვებული ყმები აკლდა, მაგრამ, როცა ის დალოცვილი დრო გაფრინდა, სხვა ნაირად დაუტრიალდა ცხოვრების ბორბალი: მზა-მზარეულის მირთმევას დაჩვეულს ქაიხოსროს, ახლა თითონ უნდა ეშრომნა და ძოემზადებინა თავისი სარჩოსაბადებელი და ეს ხომ სირცხვილი იყო იმისთანა ოჯახიშვილისათვის? მაგრამ ღმერთმა უშველოს, ჯერ კიდევ ისე უცებ არ გაჰქრობია „ის დრო", კიდევ დარჩა ნაშთი ძველის დიდებისა: გლეხებს ანთავისუფლებდა და ერთ ხანს ამით აღებულის ფულით მიდიოდა იოლად, ხოლო, როცა ეს წყაროც დაუშრა, ახლა-კი საქმე სახუმარო აღარ იყო. მუშაობა და გარჯა ხომ ეხლაც ისე ეთაკილებოდა და ერცხვინებოდა, როგორც უწინ, მაგრამ გამჭრიახმა და შორს გამჭვრეტელმა ქაიხოსრომ ეხლაც მალე მოიგონა წამალი: მიჰყო ხელი ადგილების გაყიდვას და „მტერის ჯინზე", როგორც თითონ ამბობდა, სახელი არ გაიტეხა. გავიდა დრო, ამ ძიძამაც ვადა შეასრულა და თავი დაუკრა ჩვენს ქაიხოსროს ოთხიოდ-ხუთიოდე ქცევა მიწის მეტი სულ შემოელია. ქაიხოსროს: ვგონებ, არც ამ უკანასკნელის ლუკმის გაყიდვას დაუშლიდა გული, მაგრამ, სხვა არა იყოს-რა, ცოლის შიშით ვერა ჰბედავდა. მისი ცოლი ბევრად უფრო წინდახედული ადამიანი იყო. ვინ იცის, მაკა რამდენს უჯავრდებოდა და უშლიდა რაც შეეძლო ქაიხოსროს ადგილების გაყიდვას: „შე გამოსაწყვედელო, რამ გამოგატვინა ასე? რომ მოსდექი და ყიდი ამ მიწებს შეუკოდებლათ, მერე რაღა შენი სიკვტილით აპიროფ ცხოვრებას, ან შვილს რაღა შენი თვალების დაფსებას დუუტიეფო", ეტყოდა ხოლმე ბრაზმორეული ცოლი ქაიხოსროს, როცა იგი რომელისამე ადგილის გაყიდვის სურვილს გააგებინებდა.

ქაიხოსროს ეს სიტყვები ფეხებზედ ეკიდა, ის ხუმრობაში გაარონიებდა მაკას გაჯავრებას და უხეირო სიცილით მიუგებდა:

— შენ იმის დარდი ნუ გაქ, მერე მე ვიცი, ხომ გაგიგონია, ნუ ზრუნავ ხვალისთვისო?..

ერთის სიტყვით, ასე იყო, თუ ისე, ქაიხოსრო როგორც მიწა-წყალით, ისე სხვა მოძრავის ქონებით ერთი ულარიბესი აზნაურშვილთაგანი შეიქმნა. ისე მტერი დაგილონდეთ, ის დაღონდა, რომ დაინახა, რომ ხვალისათვის ზრუნვა საჭირო ყოფილა და ძლიერ საჭიროცა, მაგრამ ეხლა გვიანღა იყო და რაღას მოეწევოდა?

— ვაი, საყვარელო, ახლა რომ ჩემი ადგილები გუუყიდელი მომცა, რა ბედნიერი კაცი ვიქნები? პური ბევრი მომივა და ღვინო, მარა ახლა რაღა დროისაო,—ამოოხვრით იტყოდა ხოლმე ქაიხოსრო, როცა სიმინდი ან ღვინო შემოაკლდებოდა.

თუმცა უკანასკნელ დღემდე მივიდა ქაიხოსრო, მაგრამ მუშაობა მაინც არ უკადრებია, „შიმშილით რომ მოვკვდე, შიმშილით, აზნაურშვილის სახელს მაინც არ გავტეხ და მუშაობას არ ვიკადრეფო!!." ხშირად უთქვამს ქაიხოსროს თავის ნაცნობ აზნაურშვილებთან, რომლებიც თითონაც ამ აზრისანივე იყვნენ. ბოლოს ქაიხოსრომ ერთი აზრი მოიგონა: დაიწყო შეძლებულ თავად-აზნაურების კარ-და-კარ სიარული, დღეს ამისას იყო, ხვალ იმისას და ასე მიჰყავდა თავისი თავი. მართალია, მისი ცოლშვილი ამ დროს დიდს გაჭირვებას ითმენდა, მაგრამ ის ამისათვის ყურებსაც არ იბერტყდა. მაკა, რა-კი თავისის ქმრის ამბავი ადრიდგანვე იცოდა და იმისაგან შველას არ მოელოდდა, ადგა და ისევ თითონ შეებრძოლა მხნედ თავისს ბედს. გაიხსენა ხალხური ანდაზა, „თუ არ გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო" და მიჰყო შრომას ხელი, დაიწყო შინაურ ფრინველების მოშენება. იმისს ეზოში რომ ჩაგეხედნათ, თვალი გაგინათლდებოდათ, ისე აჭრელებული იყო იქაურობა ერთმანეთში არეულ სხვა-და-სხვა ფერის იხვ-ბატებითა და ქათამ ინდოურებით; მოჰყავდა აგრეთვე ყოველს წელიწადს და ხან და ხან წელიწადში ორხელაც აბრეშუმი. ყველა ამას საჭიროზედ მეტსა ჰყიდდა და ფულს ოჯახს ახმარებდა. როცა, თვეში ერთხელ, ქაიხოსრო შინ მოვიდოდა, მოჰყვებოდა მაკა და რაც ჯავრი ჰქონდა, ყველას ამოყრას მაშინ მოინდომებდა ხოლმე.

— შე დასაყრუებელო, მუნიან ძაღლსავით რომ დაღოღავ სოფ რაგინდე და სინამდი გარეცხა და მოკერვა არ დაგჭირდება, შინ მოსვლას რომ არ გაფიქრებიებს ჩემი ცოდვა, რა გიჭირს, რომ შინ დიეგდო რაცხას მოხედო, აი, აგენის ცოდვა გეკითხა შენ გძელ საუკუნოს!;. მაინც-კი გეკითხება, ნუ გეშინია. აგენი თუ-კი მეხმარებიენ საწყლები და ბახჩაში ბალახების თხრით ხელზედ ტყავს იძრობენ, შენ უმფრო არ დაგშვენდება, რომ შინ იყო და რაცხაზე მომეხმარო?.. ეტყოდა გაანჩხლებული მაკა ქაიხოსროს და პატარა დესპინესა და ვაჟიშვილ გოგიზედ უჩვენებდა.

ქაიხოსრო ამ სიტყვებს ერთხანს სიცილით ისმენდა, მაგრამ როცა გაკაპასებული მაკა შეუტევდა:

— მიწა დაგაცვინდა მაგ კბილებზედ, სიცილი-კი არა, მე სისხლი მეყრება გულზეო, ისიც თავისის მხრივ ვითომ გულ-მოსული დაიყვირებდა:

— რა იქნა, ვოჯო, რაი? ამეღამ ნუ დ მარჩოფ და ხვალ წავალ, დევიკარქები საცხაო.

ამ გვარს ცხოვრებაში აღიზარდა დესპინე. ის დედის ხელმძღვანელობით პატარაობიდგანვე შეეჩვია შრომას და, როგორც ნიჭიერი და მიხვედრილი ბავშვი, იგრძნო, რომ ყოველი ადამიანი თავისის შრომითა და მეცადინეობით უნდა სცხოვრობდეს, შეიგნო, რომ ვინც თავისის

*) იხ. „ივერია", № 188.

ტფილისს ატენის ხეობიდგან, სადაც საცდელად საქონელს ჭირს უცრიდნენ, და გუშინ კავკასიის მთავარ-მართებელს წარუდგნენ.

⁂ ტფილისის სახლის პატრონებმა ამ 1898 წ. სახელმწიფო გადასახადი უნდა შეიტანონ 119,000 მან. და ადგილის დასაფასებელი—68,000 მან.

⁂ გუშინ ტფილისის პოლიცმეისტერმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ იმის შემდეგ, რაც ქალაქის გამგეობამ თვით იკისრა ქუჩების განათება, მრავალი ფარანი საღამოობით არ ანთია და ამიტომ პოლიციელებს უჭირდებათ ბნელაში სამსახური.

⁂ გუშინ ტფილისის გუბერნატორს ოფიციალურად აცნობეს, რომ სიღნაღის მაზრის სოფ. ყანდაურაში ციმბირის ჭირით 7 სული საქონელი გამხდარა ავად და 5 სული დახოცილა. სოფ. ჩაილურში კი 140 სულ საქონლიდგან 13 სული დახოცილა ამავე ჭირით.

⁂ გუშინ ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ოც-და-ათ მეფარნე მუშას პოლიცმეისტერთან უჩივლია ვართანიანცზედ, რომ ჯამაგირს არ გვაძლევსო. ეხლა პოლიცმეისტერმა იმათ წიგნაკებიდგან აღმოაჩინა, რომ ვართანიანცს, ჯამაგირის გარდა, არ დაუბრუნებია აგრეთვე ის ფული, რომელიც გამოურთმევია. ეს ფული ოც-და-თხუთმეტ თუმნამდე იქნება.

⁂ მეფე ერეკლეს სახელობის ავლაბრისა და კუკიის სასწავლებლები დაარსდება სექტემბრის დამლევს [illegible].

⁂ სულით ავადმყოფთა თავშესაფარისათვის სადგომის ბევრის ძებნის შემდეგ ქალაქის გამგეობამ 1 სექტემბერს დაიჭირა ქირით სოლოლაკში ბარონის ტიზენგაუზენის მეუღლისა და ეჯუბოვის სახლები, რომელნიც თავშესაფარისთვის ერთად იქნება შეკეთებული. პირველ სახლში 11 ოთახია და მეორეში—15. ამ სახლებს აქვს ბაღი და ფართო ეზოები. ამ დღეებში შეუდგებიან ამ სახლების გარდაკეთებას. სულით ავადმყოფთა თავშესაფარის დაარსებას აპირებენ მომავალ ოქტომბრის ნახევარში.

⁂ ქალაქის გამგეობის მოხელედ ნამყოფს კუზანოვს უკვე შეუტანია ქალაქის კასსაში ის ფული, რომელიც ამას წინად გაფლანგა.

⁂ გუშინ წინ, 1 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნული იყო განსახილველად საქმე „კავკას“-ის დროებით რედაქტორის მ. ა. უსპენსკისა და იმავე გაზეთის თანამშრომლის გატცუკისა, რომელთაც ინჟინერი ნ. ი. კარაპეტოვი უჩივის, გაზეთის შემწეობით ცილი დამწამესო. ბ-ნმა კარაპეტოვმა უმთავრეს მოწმედ დასახელა ყარსის რკინის გზის აღმშენებელი ინჟინერი ბ-ნი ვურცელი. ბრალდებულთა მოწმები: რედაქტორ გამომცემელი გაზ. „კავკასი“-სა ვ. ლ. ველიჩკო, რედაქტორი „ტფ. ფურ.“-სა ი. გ. ხაჩატუროვი, ინჟინერი ბალინსკი და ზოგიც სხვ. სასამართლოში არ გამოცხადდნენ, ხოლო მომჩივარის მოწმე ინჟინერი ვურცელი დაბარებული არ იყო. როდესაც სხდომა დაიწყო, ბრალდებულმა გატცუკმა სთხოვა თავმჯდომარეს, რადგანაც უმთავრესი მოწმე ვურცელი დაბარებული არ არის, საქმე გადასდეთო. ესევე განაცხადა მომჩივარის ვექილმა ბ-ნმა ოპოჩინინმა. სასამართლომ შეიწყნარა ეს თხოვნა და საქმის გარჩევა გადასდო.

⁂ ამას წინად ვწერდით, რომ სამოსამართლო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ თუ რა წესრიგით უნდა იქმნენ დანიშნული ამიერ-კავკასიაში ადგილობრივის შთამომავლობის კაცნი მომრიგებელ-მოსამართლეებისა და მათის თანაშემწეების თანამდებობაზედაო. გაზ. „კავკასის“ სიტყვით, ეს წესი ის არის, რომ სამოსამართლო უწყება ყოველთვის ახალის მომრიგებელის მოსამართლის ან იმის თანაშემწის დანიშვნის ან კიდევ ამ თანამდებობებზედ ადგილობრივის მცხოვრებელის გადაყვანის დროს უნდა შეეკითხოს ადგილობრივ უმაღლესს მთავრობას.

⁂ გაზეთს „ახ. მიმ.“ გაუგონია, რომ „ცნობილს ა. დ. ერიწოვს მოუმზადებია დასასტამბად ვრცელი გამოკვლევა, რომელსაც ეწოდება „სომხები და ქართველები ტფილისში“. წიგნი დაიბეჭდება რუსულსა და სომხურს ენაზედ და დასურათებული იქნებაო. წიგნს დართული ექმნება განსაკუთრებული დამატება, რომელშიაც მოთავსებული იქნება სომხეთისა, საქართველოს, ბიზანტიის და არაბეთის მწერლების თხზულებათაგან ის ადგილები, რომელიც განმარტავს სომეხ-ქართველთა დამოკიდებულებას ამ ორ მეზობელ ერის ისტორიულ ცხოვრების დასაწყისიდგანაო“.

⁂ საქმე მილიციის პრაპორშჩიკის ასკარ ჰაჯი-ყასუმ-ოღლის ზეინალოვის და სხვათა (8 კაცისა), რომელთაც ყალბის 10, 5 და 1 მანეთიანი ქაღალდის ფულის მომზადება და გასაღება ჰბრალდებათ, დანიშნულია განსახილველად ტფილისის ოლქის სასამართლოში 26 ოქტომბერს. ამ საქმისათვის დაბარებულია 159 კაცი.

⁂ [illegible] ვწერდით, რომ აზრადა აქვთ ტუაპსეს მახლობლად დააარსონ ხეხილის, მევენახეობის და მეღვინეობის სასწავლებელიო. ამ სასწავლებელს, რომელსაც სახელად ვარვარინოს სასწავლებელი ეწოდება, საგნად ის ექმნება უმთავრესად, რომ მოსწავლეთ პრაქტიკულათ შეასწავლოს ხეხილის მოყვანა, მევენახობა, მეღვინეობა და სხვა. ეს სასწავლებელი წელს დაარსდება. იმის შესანახავ გადადებულია 7,517 მან., მოსაწყობად, მასალისა და ბიბლიოთეკის შესაძენად—4,000 მან. და სამომქმედო თანხის შესადგენად 7,000, სულ 18,517 მან.

⁂ გაზ. „ახ. მიმოხ.“ აცნობებენ, რომ საცდელად და ხალხის საჩვენებლად ვენახების წამლობა ბლეკროტისა, ვაიტროტისა და სხვა სენისაგან კახეთში კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისაგან დანიშნულს ადგილებში უკვე დაუმთავრებიათ. როგორც გამოცდილებით დარწმუნებულან, საუკეთესო საშუალება ვენახების ბლეკროტისაგან მოსარჩენად ესრედ წოდებული ბორდოსის სითხე ყოფილა.

⁂ გაზ. „კავკას“-ს ბორჩალოს მაზრიდგან სწერენ, რომ ამას წინად ალგეთის ჭალაში ყაჩაღთა ბრბო გაჩნდა, რომელიც ხუთის კაცისაგან შესდგებაო. მათ შორის სამი კაცი ადგილობრივი მცხოვრებელია, რომელნიც სხვა-და-სხვა დანაშაულობისა გამო სამართალს ემალებიანო. ყაჩაღები ამ მაზრის ერთს მცხოვრებელის ბოსტანში შევარდნილან. მებოსტნეებსა და ყაჩაღებს შორის სროლა გამართულა, რომლის დროსაც ერთი ყაჩაღი, სახელდობრ ალლახ-ვერდი სადიხ ოღლი მოუკლავთ, ხოლო ერთი მუშა დაუჭრიათ. შემდეგ ყაჩაღები სადღაც გადაკარგულან.

⁂ „Бирж. Вѣд.“ იუწყება: „საერო განათლების სამინისტროს სამრეწველო სასწავლებელთა განყოფილების გამგეს ი. ა. ანოპოვის დაბრუნებისათანავე გარდასწყდება კავკასიის პოლიტეხნიკუმის საქმე.“

⁂ ს. ხაშმი, (გარე კახეთი), 25 აგვისტო. წრევანდელი წელიწადი ხაშმელებისათვის მოსავლიანია. ბური საკმარისი მოგვივიდა და ღვინის მოსავალსაც კაი პირი უჩანს. სოფელში ძველი ღვინისა აღარაა, ამითი ისარგებლეს ჩარჩებმა და ისეთი ღვინო გაასესხეს, რომ კაპკაპს დააჩხავლებს; მოგებაში არ იქნებიან თუ, შემოდგომაზედ საუკეთესო ღვინოს მიიწყავენ. კალოები ჯერ არ გაუთავებიათ, ლამის არის ენკენისთვეს შეჰყვეს... ჩვენში ავადმყოფობამ იჩინა თავი; უმეტესად ბავშვები ჰხდებიან ავად და იხოცებიან. ერთს ოჯახში ორი ბავშვი ერთად გარდაიცვალა. ზოგიერთს ოჯახში რამდენიმე სულია ავად... ექიმის მოყვანას აქ შეძლებულნიც ვერ ახერხებენ, თორემ შეუძლებელნი რას გააწყობენ. ერთი ექიმი მუხროვანიდან მოსვლას თუმცა ორ-სამს მანეთსა სჯერდება, მაგრამ ისიც ხან შინ არ არის საჭირო დროს, ხან სხვა მიზეზი გამოუჩნდება და ამიტომ ვერ გამოიყვანენ ხოლმე. საგარეჯოს ახალი ექიმია და ღარიბი ხალხისათვის ხელმისაწვდენი არ გახლავს. ერთმა მიამბო, ამას წინად წაველო მის გადმოსაყვანად და თუმან ნაკლებ არ გამომყვაო.

თითქმის წელიწადი არ გაივლის ისე, რომ ს. ხაშმში ავადმყოფობა არ გაჩნდეს ხოლმე. თითქოს სოფელი ვერა ხედავდეს უექიმ-უფერშლობით შეწუხებას, ყურსაც არ იბერტყავს, რომ ეს მცირე ნაკლი თავიდგან აიცილოს. ხაშმს საკუთარი ფერშალი ეჭირვება, სხვა სოფლებთან შედარებით ეს სოფელიც შეუძლებელი არ არის და ამასაც ყოველთვის ძალ-უძს შეინახოს ერთი ფერშალი. ხალხს შემწეობა ეჭირვება, იგი სენისაგან იღუპება და ამავე დროს მისნი მოწინავენი არასა ჰფიქრობენ. იმედია, მამასახლისი ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და სოფელს როგორმე ფერშალს დაუქირავებს...

ჩვენებურს წარმოდგენებს ვერაფერი ამინდი დაუდგა; წრეულს მარტო ორი წარმოდგენა

---

მარჯვენით თავისს თავს მაინც ვერ შეინახავს, ის სრული ადამიანი არ არის და მიემსგავსება იმ უხელო ან უთვალო გლახას, რომელიც, თუ სხვამ არ შეიბრალა და მოწყალება არ მიუგდო, შიმშილით უნდა მოკვდეს. დესპინე თერთმეტ-თორმეტის წლის მეტისა არ იქნებოდა ჯერ, რომ მეზობლის ქალები ამ გვარის სიტყვებით მიჰმართავდნენ ხოლმე.

— დესპინე, ინდოურის წიწილები გვეხოცება და გვასტავლე, შენ გენაცვალე, რაფერ უნდა შუუაროთ ან საჭმელი რაფერ უნდა ვაჭამოთო.

ისიც მაშინვე ეტყოდა, ასე და ასე უნდა მოიქცეთო, და ქალებსაც ეჭეშმარიტებოდათ იმისი სიტყვები. დესპინე რომ ცამეტის წლის შეიქმნა, ისე მშვენივრად ესმოდა ყოველ-გვარი დიასახლისობა, რომ ხშირად მაკა ბევრს რასმე იმას ჰკითხავდა ხოლმე. ეხლა ისღა აწუხებდა, რომ ერთი ხელსაქმე შეესწავლა და ამ თავისს სურვილს ხშირად დედასაც შესჩივლებდა ხოლმე. ბოლოს მაკამ დესპინე თავისს მშობლებთან გაჰგზავნა, რადგან მისმა უმცროსმა ძმამ კარგი ჭრა-კერვისა და ქსოვის მცოდნე ცოლი მოიყვანა. ერთი ამბავი შეექნათ მეზობლის ქალებს და მეტადრე ახალგაზდა ქალიშვილებს, როცა გაიგეს, დესპინე სხვაგან მიდისო. ცრემლმორეულები განუწყვეტლად ჰკოცნიდნენ მიმავალს დესპინეს და გულ-აჩუყებულნი ხშირად ამ სიტყვებს იმეორებდნენ:

— ღმერთო და მოწყალეო, მალე დაასტავლე დესპინეს ჭრა-კერვა, შენი სახელის ჭირიმე, და დროიანად გვაღირსე მისი დაბრუნებაო.

თვითონ დესპინეც თავის მხრივ ძლიერ სწუხდა ამხანაგების დაშორებას და ცრემლ-მორეული ისე ეკონებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს, თითქო იმათ სულში ჩაძვრენა უნდაო.

III

ნიკო, გვარად ღირსეულიძე, ერთი სოფლის კაცის ვითარებაში კაი შეძლებული გლეხის შვილი იყო. რვა თუ ცხრა წლისა იქნებოდა, როცა მამა მოუკვდა და დაობლდა. მართალია, ნიკოს დედას ქმრის სიკვდილის შემდეგ მძიმე უღელი დააწვა კისერზედ, რადგან მცირე-წლოვანის ნიკოს მეტი შემწე და მშველელი ოჯახში არავინა ჰყავდა, მაგრამ რაკი კაი ოჯახში იყო და ამასთან შვილსაც საღსა და საიმედოს ჰხედავდა, მეორეხელ გათხოვება თავიდგანვე უარ-ჰყო და მხნედ და მამაცურად უვლიდა ქმრისაგან დატოვებულს ქონებას, ილიტე-კი ჯერ სულ ახალგაზდა იყო და საკმაოდ ლამაზიც, საქმრო ბევრი აღმოუჩნდა და ხშირად ჩასჩიჩინებდნენ შუამავლად მოსული ქალები.

„რაა ვითამ, შე ქალო, დაგიჯინებია და შეჰყურყუტებ ამ ერთი კეკალა ყაზილარს, [2]) იაგავი აღარ გაგიგონია ქე მაინც? „ერთი შვილი ღობის ჩხირიო“, ის მაინც მტკიცედ ადგა თავისს გარდაწყვეტილებას და ასეთს პასუხს აძლევდა ყველას:

— ენაცვალოს დედამისი, ერთი კია, მარა ვოქროა მაგიორში. თუ ჩემდა არ უნდა ღმერთს, ხუთი რომ მყავდეს, ყველას წამართმს და თუ ჩემდა სურს, მისი სახელის ჭირიმე, ერთიც კი მეყოფაო.

მართლა რომ ოქრო იყო ნიკო: ჯერ თორმეტ-ცამეტის წლისა არ იქნებოდა, რომ ვაჟკაცის ოდენობა შეეძლო თითქმის ყოველ გვარ სამუშევარში და მთელს სოფელშიმარჯვე და მალხაზის ბიჭის სახელი გაითქვა. რასაკვირველია, დედასაც თან დათან უმსუბუქებდა შრომს და უღელს და მალე მთელს ოჯახს დედა-ბოძათაც შეუდგა. ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის რომ შეიქმნა, იმ ახლო მახლო სოფელში ნიკოს ტოლი და სწორი ბიჭი არა ჰყავდა, ისეთი ყმაწვილი დადგა: მშვენიერი თვალ-ტანადი, ჰკვიანი და პატიოსანის სიტყვა-პასუხის მქონე, დაუღალავი მშრომელი და ამასთან ყველას მიმღები და მოსიყვარულე.

— მაგისთანე საფეხნიკო და საყვარელი ბიჭი სტორეთ არ გამოზდილა, ძმაო, ჯერ ჩვენ სოფელში; თვალში რომ ჩაგივარდეს, ხელს არ მეისოფ, იმფერი ხასიათისააო, იტყოდნენ ხოლმე ხშირად ნიკოს შესახებ იმისი მეზობლები.

ილიტეც ძლიერ მადლიერი იყო თავისის ბედისა, რომ ასეთი შვილი გამოეზარდა და იმ გაჭირვებასა და ჭაპანწყვეტას, რომელიც ნიკოს მოსწრებამდის გამოევლო, აღარაფრად აფასებდა. ეხლა იმისი დარდი მხოლოდ ის იყო, რომ კაი სარძლო მოენახა და შვილი დაექორწინებინა. მართალია, შუამავლები ერთმანეთს მისდევდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ ნიკოს, მაგრამ ის ერთს გარდაწყვეტილებას ადგა და თითქმის ყველას ერთისა და იმავე პასუხით ისტუმრებდა:

— რა ვქნა, კაცო, ასთე უვეცრათ რაფერ ვითხუო ცოლი? ერთი დღის აქმე არაა და ერთი წლის. მართალია, შენ ჩივი, წამოდი და ნახეო, მარა ერთი ნახვით რა შევატყო, შვიდე უნდა ამ ურცხო ვოჯახში, სადაც მისდღემჩი [3]) არ ვყოფილვარ და ვირც-კი შევხედავ ხეირიანად სირცხვილით. კაი, თუ გინდა, თვალ-ტანად მომეწონა, მარა სხვაფერ რაა, ვინ იცის. სიტყვა არ გამიგონია მისი ჩემს დღეში და პასუხი, ზნეი არ ვიცი მისი და ხასიათი. ეგება მედუდურია [4]), ეგება მიეთ-მოეთია [5]), ან იქნება სხვაფერ არ ეწყობა ჩემი და იმის ხასიათი ერთქამეტს და ამისათვის სტორეთ გადაწყვედილი მაქ, რომ, თუ თვალ-ტანადობას გარდა, პატარე ხასიათი და სიტყვა პასუხიც არ გევაცანი ქალის, ისთე ცოლათ ვერ შევირთავ. მაშინაც ქე მოვტყუნდე იქნება: ნათქვამია, კაცთან შვიდი ფუთი მარილი რომ შეჭამო, იმისს ხასიათს კარქათ კიდომ ვერ გეიგეფო, მარა ქე მაინც ჩემს თავს დავაბარეფ, თუ ვერ ვიცნოფ. და ახლა მივარდე საცხა ურცხო კაცისას და ერთი ნახვით საქმე გადავწყვიდო, რაფერ შეიძლება? საკალანდო [6]) ღორი ხომ არაა, რომ ერთი ნახვით შევატყო მქლეია, თუ სუქანიო?

ასეთს წინ-დახედულობას უნდა მიეწეროს, რომ ნიკო ოცის ოც-და-სამის წლისაც უცოლო დადიოდა მაშინ, როცა დედა და ნათესავები თხუთმეტ-თექვსმეტის წლისას უპირებდნენ ცოლის შერთვას.

(შემდეგი იქნება)

2) ყაზილარი—პატარა, სულელი ბავში.

3) მისდღემჩი—არასოდეს.

4) მედუდური—უკადრისი.

5) მიეთ-მოეთი—სიტყვების და ნალაპარაკევის მიმტან-მომტანი.

6) კალანდა—ახალ-წელიწადი.

გამართეს, შემოსავალიც მცირე იყო. იმდენად განუვითარდათ ხაშმელებს წარმოდგენების გემო, რომ ამის შემდეგ ხშირად ივლიან წარმოდგენებზე დასასწრებლად, გარდა ამისა, ს. ხაშმი შუა ადგილია მახლობელის სოფლებისა. საჭიროა, რომ წარმოდგენების მართვის საქმეს კვლავ მეტი ყურადღება მიექცეს. შემოსავალი დღემდის საქველმოქმედო საქმის მოსახმარებლად გადიდებოდა ხოლმე.

წიგნთსაცავ-სამკითხველოს ახალი წიგნები ეჭირვება. ბევრი წიგნი არ მოიპოვება წიგნთსაცავში, მკითხველები-კი ახალს წიგნებს თხოულობენ; კარგი იქნება „წ. კ. საზ“. მიაქციოს ყურადღება და წიგნებით დახმარება აღმოუჩინოს.

*** „Черн. Вѣст.“-ი სწერს: „ქუთაისის ქალაქის მოურავს ბ-ნ ლოლუას მოსკოვში იმპერატორის ალექსანდრე მე-II ძეგლის კურთხევაზედ ყოფნის დროს უცნაური ამბავი მოუხდა. მოსკოვში სიტყვა ლოლუამ წარმოსთქვა და არა ტფილისის ქალაქის მოურავმა, როგორც ამას „რუსეთის დეპეშათა სააგენტო“ იუწყებოდა. ტფილისის ქალაქის მოურავს კრინტიც არ დაუძრავს. „რუსეთის დეპეშათა სააგენტო“ შესცდა უთუოდ იმიტომ, რომ იფიქრა, ქუთაისში ისეთი მოურავი არ იქნება, რომ სიტყვის წარმოთქმა შეეძლოსო. შესცდნენ აგრეთვე მოსკოვის ყველა გაზეთები, „Московскій Листокъ“-ს გარდა, რომელმაც განაცხადა, რომ სიტყვა ქუთაისის ქალაქის მოურავმა წარმოსთქვაო.

## ქიზიყელები ქ. სიღნაღში და იმათი მეზობელი სიღნაღელები.

(დასასრული *)

სიღნაღის თვით-მართველობამ ერთის მხრივ პირ-და-პირ დაარღვია თავისს ამომრჩეველთა სარგებლობა თავისის გარდაწყვეტილებით; მეორეს მხრივ, იგივე გარდაწყვეტილება არ ეთანხმებოდა კანონს, თუმცა შემთხვევით ძალაშიაც შევიდა და განხორციელდა კიდეც. ახლა ვიკითხოთ, ვისთვის და რისთვის მოახდინა ეს სიღნაღის მამასახლისმა. განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ თვით მართველობამ წინადვე ვერ გასაზღვრა, რა ზარალში შეჰყავდა თავისი მარწმუნებელნი? არა და ათასჯერ არა!! გადაწყვეტით ვამბობ, რომ ეს არის ნაყოფი ქიზიყელის ტეტიის წინააღმდეგ მტრობისა. რომ ეს ასეა და აქ სხვა მიზეზი არაფერია, ე. ი. რომ თვით მართველობამ განზრახვით ჩაიდინა ეს საქმე და არა შეცდომით, საკმარისია მოვიგონოთ ყოველი ზემორე ნათქვამი და თუ იგი ვერ დაგარწმუნებთ, შემდეგს დავურთავ: ბ-ნი სიღნაღის მამასახლისი პირადის განკარგულებით ქიზიყელ გლეხებს უკრძალავდა ურმიდგან ნესვ-საზამთროს და სხვ. გადმოღებას და იმავე დღეს და იმავე საათს ლეკებს ნებას აძლევდა ურმიდგან მოედანზედ გადმოეწყოთ ნესვ-საზამთრო და სხვ. ასე იქცეოდა ბ-ნი მამასახლისი, ვიდრე მაზრის უფროსის თანაშემწემ, რომელთანაც მივიდნენ ამ საქმის მოსახსენებლად, არ ურჩია მამასახლისს შეეცვალა ეს მეტად უსამართლო განკარგულება. რისაგან მოხდა, რომ ქიზიყელი გლეხი და ლეკი გარჩეულ იქმნენ უფლებებით საბაზრო მოედანზედ? რისაგან წარმოსდგა, რომ ქიზიყელ გლეხს არა ჰქონდა ის უფლება, რომელიც ლეკს მიენიჭა ბ-ნ მამასახლისისაგან?

*) იხ. „ივერია“, № 188.

სახელი და გვარი იმ გლეხებისა, რომელთაც თითქმის გადაჰყარეს თავისი ნაწვავ-ნადაგი ბ-ნ მამასახლისის განკარგულების გამო არ არის საჭირო მოვიხსენიო, რადგანაც თვით ბ-ნი მელიქ ადამოვიც ვერ იტყვის ამის უარს.

ერთმა გლეხმა მოიტანა ცხენით ყველი სასწორზედ და არ ჩამოჰხადა გუდები, რადგანაც მესასწორე ქირასა სთხოვდა. ცხენი ისევ გააბრუნა. მეორე დილით უჩივლა ბ-ნმა მამასახლისმა ქალაქის ბოქაულს ბ-ნს ნასიძეს, ვითომც ბოქაულმა ყველი ყანთარზედ აღარ ჩამოაღებინა, რადგანაც ეს ყველი თავისის ნაცნობისათვის იყიდაო და თვით ნაცნობის სახელი და გვარიც დაასახელა. შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს მართალი არ იყო. თურმე ნუ იტყვით, ბ-ნს მამასახლისს უნდოდა ისევ ქიზიყელების დაჩაგვრა (ბოქაულიც და მისი ნაცნობიც ქიზიყელები არიან). წარმოვიდგინოთ, რომ ბოქაულს სწორედ უნდოდა ყველის ყიდვა, ანუ ბოქაულის ნაცნობს უნდოდა ყველის ყიდვა, რისგან არის, სიღნაღელს-კი აქვს უფლება სიღნაღის მოედანზედ, თუ ქუჩაში იყიდოს ყველი და ამ უფლებას ბოქაული და მისი ნაცნობი-კი მოკლებულნი არიან და ისე მოკლებულნი, რომ თუ იყიდეს, დანაშაულადაც ჩაეთვლებათ, საჩივლელად გაუხდებათ საქმე? მაგალითები, რომლითაც მტკიცდება, რომ სიღნაღში ბ-ნს მამასახლისის მოგვარეს და არა-მოგვარეს უფლების მხრივ არჩევენ, ასობითა მაქვს ჩაწერილი.

არა ერთ გზის მიუცია ჟურნალ-გაზეთობას რჩევა და არა ერთ გზის გაუფრთხილებია ისინი, ვინც ამ ორ მეზობელ ხალხში უსიამოვნებას სთესავს, მაგრამ, სჩანს, არ იშლიან. ახლა მივმართავ უმრავლესობას და ვურჩევ, ნუ აჰყვებიან ცრუ მოძღვრებას, რომლის წყალობით დავიწყებული ექიმი მუშტარს იმრავლებს, ულუკმა-პუროდ დარჩენილი, სამოც-თუთმნიდგან ას ოც-თუთმეტამდე ჯამაგირს გარდა, ყოველ დღე საზოგადო საკუჭნაოში ხელს აფათურებს და ილოკავს კარგა სქლად თითზედ მიკრულს საუნჯეს, თორემ ისევე გაუცრუვდებათ ყველა, როგორც გაცრუებიათ წარსულში ასეთი მიეთ-მოეთობა. ეს არის შევიტყე, რომ თვითვე უარ უყვიათ ბრძნული გარდაწყვეტილება. მართალია, ბ-ნ მამასახლისს თვისი გარდაწყვეტილება გლეხის დედაკაცების შესახებ, თვითვე უარ უყვია, მაგრამ არის ხოლმე შემთხვევა, როცა უარ ყოფა ან აღარ შეიძლება და ან დაგვიანებულია. ამისთანა შემთხვევას უნდა უფრთხოდეს უმრავლესობა, თუ არ უნდათ კეთილ გონიერებას გადაუხვიონ და გადასცდნენ.

სიღნაღში დროებით მყოფი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. ჩურუქ-სუ,** (ქობულეთი). 17 აგვისტოს, ორშაბათს, აკურთხეს ქობულეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესია, რომელიც ერთად-ერთი მართლ-მადიდებელი ეკკლესიაა ქობულეთში, და რომლის გარშემო ჰმოსახლეობენ ქართველი მაჰმადიანები; ამ ეკკლესიის მრევლნი არიან რუსები, რიცხვით 45 კომლი, და აგრეთვე რამდენიმე გურული ვაჭარი. ეკკლესიის სამრეკლოს ჩაყრა დაიწყეს 1895 წელს და 1898 წლამდის ნელ-ნელა შენდებოდა წვრილ-წვრილად მოკრებილის ფულით. ამ ბოლოს დროს რამდენისამე კაცის უხვის შემოწირულების წყალობით დასრულდა ეკკლესია. მაგალითებრ, ექსარხოსის კანცელარიიდგან მოგვივიდა 500 მ., მ. იოანე კრონშტადტელისაგან 300 მ., ბ-ნ ბაბოვისაგან —400 მან. (განკელი), ქ-ნ გორიჩევასაგან —105 მ., ბ. ტოტუბალინისაგან—100 მ., ამას გარდა, ბ-ნმა ბატაგოვმა შემოსწირა ერთი ხელი მღვდლის შესამოსელი, ტრაპეზზედ გადასაფარებელი, ერთი ბარძიმ-ფეშხუმი და ვარსკვლავი, ვერცხლისანი. წვრილ წვრილად აქაურ მცხოვრებლებისაგანაც შემოვიდა შემოწირულება. ამ ეკკლესიის სასარგებლოდ კიდევ მეელადვე იყო ფული მოგროვილი. ამნაირად ეხლა ეკკლესია ყველაფრით გაწყობილია, მხოლოდ სამრეკლო დარჩა ასაშენებელი. ადგილობრივი მღვდელი მ. ბენიამენ ღლონტი და ქობულეთის ნაწილის უფროსი შტაბს-კაპიტანი რეზანოვი დიდის თავ-გამოდებით სცდილობდნენ ამ კეთილის საქმის დაგვირგვინებას.

ეკკლესიის საკურთხებლად ქ. ფოთიდგან მობრძანდა ყოვლად სამღვდელო გურია სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე და თან მოჰყვნენ ფოთის ტაძრის დეკანოზი გ. მაჭაროვი, მთავარ-დიაკვანი ლ. ხოშტარია და მთავარნი გ. გეგეჭკორი და ირაკლი ელიავა. მისი მეუფება მოვიდა ქობულეთში 16 აგვისტოს, დილის 8 საათზედ, პირდაპირ ძველს ეკკლესიაში შევიდა და დილის წირვას დაესწრო. გვიან საღამოს ახალს ეკკლესიაში გარდაიხადეს ღამის თევით ლოცვა. ეკკლესიის ეზო ამ დროს 10 საათამდის გაჩირაღდნებული იყო. მეორე დღეს, 17-ს, დილის რვა საათზედ, ძველის ეკკლესიიდგან წაასვენეს წმინდა ნაწილები ახალს ეკკლესიაში. წირვის დროს გალობდა ბათუმის ტაძრის მგალობელთა გუნდი ბ-ნ გ. ლორიას ლოტბარობით. წირვის დროს მისმა მეუფებამ ადგილობრივი მღვდელი მ. ბენიამენი სკუფიით დააჯილდოვა. წირვის შემდეგ ყოვლად სამღვდელომ წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა, რომლითაც განუმარტა ხალხს მართლ-მადიდებელ ეკკლესიის მნიშვნელობა. სიტყვის დამთავრების შემდეგ ასი მანეთი გადასცა იქავე მდგომს ნაწილის უფროსს შემდეგის სიტყვებით: რადგანაც თქვენი ეკკლესია კიდევ ჰსაჭიროებს შემწეობას, ამისათვის ვწირავ ჩემის მხრივ ას მანეთსაო.

წირვის შემდეგ ადგილობრივ სამინისტრო სკოლაში სადილი გაუმართეს მისს მეუფებას, სადაც იყვნენ მიწვეულნი კიდევ ბევრნი საპატიო კაცნი. მეორე დღეს, 18 აგვისტოს, დილის მატარებლით მისი მეუფება ტფილისს გაემგზავრა. რკინის გზის სადგურზედ მრავალნი შეიკრიბნენ მღვდელ-მთავრისაგან ლოცვა კურთხევის მისაღებად და გამოსათხოვებლად.

ა. თალაკვაძე

# რუსეთი

რადგანაც ზოგიერთა საეპარქიო გამგეობათა საქმეებიდგან აღმოჩნდა, რომ გამოძიება სასულიერო-წოდების კაცთა საქმეებისა სავსებით და კარგად არ იყო წარმოებული, ამიტომ სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ყველა ეპარქიამ განსაკუთრებული სასულიერო გამომძიებლები იყოლიონ.

— ბავშვთა თავშესაფარების უწყებამ ნება მიიღო გამოსცეს და გაჰყიდოს ყველგან რუსეთში განსაკუთრებული ბლანკები წერილებისათვის, რომელთაც ეწოდებათ სახელად: „საქველ-მოქმედო წერილები განცხადებითურთ“. ეს ბლანკები შესდგება დიდის ზომის საფოსტო ქაღალდებისაგან, რომელიც შეიძლება ოთხჯერ გადაიკეცოს. ცალკე კონვერტი ამ ბლანკებს არ ექმნება. ადრესის მხარეს, მარჯვენა კუთხეში, ბლანკს დაკრული ექმნება 7 კაპეიკიანი ბეჭედი. ეს ბლანკი ყველგან 5 კაპეიკად გაიყიდება და გაიგზავნება როგორც 7 კაპეიკიანი წერილი.

— გაზეთების სიტყვით, აზრადა აქვთ დაარსონ პეტერბურგში აღმოსავლეთ ენების კურსები ქალთათვის. კურსებზედ მიიღებენ იმათ, ვისაც დედათა გიმნაზია, ინსტიტუტი ან უმაღლესი სასწავლებელი ექმნებათ გათავებული. სწავლის ვადა სამი წელიწადი იქმნება.

— სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რომ მთავრობას აზრადა აქვს გაიღოს მეტი ფული გადასდოს სამრევლო-საეკკლესიო სკოლებსა და სასულიერო უწყების სხვა სასწავლებლებში სოფლის მეურნეობის სწავლის საქმის მოსაწყობადაო.

— როგორც სასულიერო უწყებაში მიღებულის ცნობებიდგან სჩანს, წელს ზოგიერთა ეპარქიების სამრევლო-საეკკლესიო ორ-კლასიან სკოლებში სხვა-და-სხვა ხელობის სწავლება იქმნება შემოღებული. ამ საქმისათვის უწმ. სინოდთან არსებულმა სასწავლებელთა საბჭომ უკვე გადასდო საჭირო თანხა.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** პარიჟის ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ, რომ საგენერალო შტაბმა არამც თუ იცოდა, რომ პოლკოვნიკმა ანრიმ სიყალბე ჩაიდინა, არამედ თვითაც მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში. გაზ. „Aurore“-ში კლემანსო სწერს, მაგალითად: „მე არა მჯერა, რომ გენერლებს: ბუადეფრს, გონზს და ბილიოს მონაწილეობა არ მიეღოთ პოლკოვნიკის ანრის მიერ ჩადენილ საქმეში. ამ სამ გენერალს ეს წერილი გამოსაკვლევ ბიუროს მაშინდელ უფროსის პიკარისათვის უნდა გარდაეცათ, მაგრამ ამის ნაცვლად მათ მხოლოდ წაუკითხეს პიკარს ეს წერილი და გამოსაკვლევად კი არ გადასცეს. ამასთან პიკარმა წერილის წაკითხვისათანავე დაიძახა: „ეგ წერილი ყალბიაო“-ო“. მეორე გაზეთი „Siecle“ ამბობს, „ანრიმ მარტო ის წერილი არ შეთხზა, რომელიც კავენიაკმა პალატაში წაიკითხა. ამ წერილთან მჭიდრო კავშირი აქვს ორ სხვა წერილს, რომლებიც აგრეთვე ანრის ნაყოფია. გარდა ამისა ყოველს ეჭვს გარეშეა ისიც, რომ საგენერალო შტაბში პიკარს მომხრეები და თანამშრომლები ჰყავნდა“. „დრეიფუსის საქმე, — სწერს მესამე გაზეთი „Droits de l'Homme“, — შესდგება სამის ნაწილისაგან: ბორდეროსა, საიდუმლო საბუთის ქაღალდებისა და საიდუმლო dossier-ისაგან. საგენერალო შტაბის სიტყვით, ეს უკანასკნელი შეიცავს ისეთს საბუთებს, რომელნიც დრეიფუსის დანაშაულობას აშკარად ამტკიცებენ, სახელდობრ: 1, გერმანიის ელჩის გრაფ მიუნსტერის მიერ გერმანიის იმპერატორ ვილჰელმთან გაგზავნილს წერილს, რომელშიაც ჩამოთვლილია ის, თუ რა გადასცა დრეიფუსმა გერმანიის აგენტებს; 2, სამ წერილს იმპერატორის ვილჰელმისას, მათ შორის ერთი გრაფ მიუნსტერთან გაგზავნილს და ორიც დრეიფუსთან. საგენერალო შტაბში დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს წერილები ნამდვილად ვილჰელმს ეკუთვნის. ამტკიცებდნენ, რომ წერილები ხელთ ჩაიგდო ბერლინში საფრანგეთის ერთმა აგენტმა, რომელმაც შემდეგ სამხედრო სამინისტროს გადასცაო. ნამდვილად-კი ყველა ეს წერილი ყალბი და განგებ შეთხზულია ბრიუსელში, შემდეგ ბერლინში გაგზავნილი, სადაც საფრანგეთის ერთს აგენტს ხელში ჩაუვარდა და ნამდვილ წერილებად მიიღო“.

როგორც უკვე ვწერდით, ბევრი გაზეთი საფრანგეთს ომით აშინებს. „Jour.“-ი ამბობს: „თუ მართლა დრეიფუსის საქმე ხელ ახლა იქმნა განხილული, მაშინ მთავრობა უნდა გამოტყდეს, რომ იმის აფიცრები ჯაშუშობას, საელჩოებში ქურდობას მისდევდნენ, ანტვრევდნენ რკინის ყუთებს, ხსნიდნენ სადიპლომატო წერილებს და საიდუმლო საბუთის ქაღალდებს იპარავდნენ. ამის შემდეგ-კი უეჭველად ომს გამოგვიცხადებენ“ ამ წერილების და ვითომ მომავალის ომის გამო გერმანული გაზეთი „Koelnische Zeitung“-ი სწერს: „ტყუილათა ჰგონიათ საფრანგეთის ზოგიერთ გაზეთებს, რომ რა წამს მთავრობა იმ საბუთის ქაღალდებს გამოაქვეყნებს, რომელნიც დრეიფუსს შეეხებიან, იმ წამს გერმანია საფრანგეთს ომს გამოუცხადებს. ყველამ უწყის რა საბუთის ქაღალდებია ეს ქაღალდები. არწმუნებენ ყველას, რომ ეს ქაღალდები იმპერატორის ვილჰელმის წერილებს შეიცავენო. ნამდვილად-კი არაფერი ამ გვარი არ არის. გერმანიის იმპერატორი არასოდეს წერილებს არა სწერს ჯაშუშებსა და სხვა ამ გვარ კაცებს, ხოლო თუ რომელმამე აფიცერმა შეთხზა ასეთი წერილი, ამის გულისთვის გერმანია საფრანგეთს ომს არ დაუწყებს“.

— საფრანგეთის ახალი სამხედრო მინისტრი გენერალი ცურლინდენი ელზასელია, დაიბადა 1837 წელ. სამხედრო სამსახურში 1858 წელს შევიდა. ომის დროს ცურლინდენი მეცში ტყვედ ჩაუვარდა მტერს, მაგრამ მალე განთავისუფლდა და სამშობლოში დაბრუნდა. 1881 წელს იგი პოლიტეხნიკუმის დირექტორის თანაშემწედ დანიშნეს, შემდეგ მთელის კორპუსის უფროსად. 1895—1896 წ. ცურლინდენი სამხედრო მინისტრად იყო, შემდეგ პარიჟის სამხედრო გუბერნატორად იქმნა დანიშნული.

— აი, რასა სწერს დასჯილის დრეიფუსის შესახებ ერთი აფიცერი, რომელიც ამ რამდენისამე ხნის წინად ეშმაკის კუნძულზედ ყოფილა: „გულმა საშინლად კანკალი დამიწყო, როდესაც ქოხთან მივედი და დრეიფუსის პირდაპირ დავ-

დექი. ეს კაცი მხოლოდ ძვალისა და კანისაგან ღა შესდგება, ისე საშინლად გამხდარა. სიცოცხლე ჩანს მხოლოდ თვალებში და ეტყობა; ამ თვალებში დიდს ტანჯვასა და წვალებას წაიკითხავთ. იმისი ერთი შეხედვა კაცს თავზარსა სცემს. საცოდავი ისე გიყურებთ, თითქოს გეკითხებათ რასმესაო. დასჯილთან ლაპარაკი აღკრძალულია. კუნძულზედ კლდეებისა და გადამწვარ მიწის მეტს ვერაფერს შეხვდებით; ერთ ხეს ვერსად იპოვნით. დრეიფუსი წყნარად არის, ის არც წინააღმდეგობას აცხადებს და არც უჩივის რასმე. საწყალს იმედი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს. მთელის საათობით თავის ქოხის წინა სდგას და საცოდავის თვალებით გაჰყურებს დაუსრულებელს ზღვას“.

## ნარევი

— მოგზაურობის დროს დიდ ვეზირთანაც ვიყავი. ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს და ხშირად ვნახავდით ხოლმე. დიდი მეტყველი კაცია, მრავალი თათრული ანდაზა და სასაცილო ამბავი მაამბო და ბევრი მაცინაო, ამბობდა ერთი.

— გვიამბეთ რამე იმის ნაამბობი, ბევრი გევედრებით.

— მრავალთ-უმრავლესი.

— მაშ გვიამბეთ.

— სწორე გითხრათ, დამავიწყდა.

— აგრე ჩქარა?

— საკვირველი არ არის, რადგან თათრულად ამბობდა ხოლმე.

— რა არის მერე?

— ის, რომ მე თათრული ენა არ ვიცი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

დანიის რკინის გზათა მმართველობას განზრახვა აქვს გააკეთოს რკინის გზის ხიდი ეგრედ წოდებულ „მცირე ბელტის“ სრუტეზე, რომელიც ფიონიასა და იუტლანდის შორისაა. ამ ხიდის სიგრძე იქმნება 1.350 ადლი, სიმაღლით 40 ადლი. ამ ადგილას ზღვის სიღრმე 27 ადლს არ აღემატება. ამ გვარად ამ ხიდის ბურჯების სიმაღლე იქმნება სულ 67 ადლი. ხიდის გაკეთებისათვის საჭიროა სულ 16 მილიონი და სრუტეს ნაპირების გაკეთებისათვის კიდევ 2 მილიონი კრონი. ჰფიქრობენ, რომ ხიდის გაკეთებას 3—4 წელიწადი დასჭირდება.

* * *

ამერიკის უნივერსიტეტები ისე მდიდრულად არის მოწყობილი, როგორსაც კაცი ვერ შეჰხვდება ევროპის ვერც ერთს უნივერსიტეტში. ესევე ითქმის ამერიკის უნივერსიტეტების შენობებზე. ყველაზედ უკეთესი შენობა აქვს ნიუ-იორკის უნივერსიტეტს „კოლუმბიას“, რომელიც დაარსდა 1754 წელს. ეს უნივერსიტეტი გაშენებულია მდინარე გუდზონის მახლობლად.

უნივერსიტეტის შუაგულ ადგილას არის წიგნთსაცავი. რამდენად მდიდარია ბიბლიოთეკა, იქიდგანა სჩანს, რომ მარტო საიუბილეო წიგნების რიცხვი 25,000 აღემატება. ქვემო სართულში გამართულია დიდი აუზები საბანაოდ და დარბაზი გიმნასტიკისათვის. მეორე სართულში დიდი და მშვენიერი სასადილო დარბაზი 1.000 კაცისთვის. ამავე სართულში იქმნება თეატრი, რომელშიაც 2,500 კაცი დაეტევა. ეს თეატრი ძლიერ დაემსგავსება საფრანგეთის დეპუტატთა პალატას. აქვე იქმნება კაბინეტები და მუზეები ბოტანიკისა, გეოლოგიისა, ზოოლოგიისა და სხვ.

* * *

ერთმა ამერიკელმა ქალმა ქ-ნმა შენკმა მოიწადინა ომში დაჭრილთა სასარგებლოდ შემოწირულების შეგროვება და შემდეგს უბრალო საშუალებას მიჰმართა. მისწერა წერილები თავისს ოთხს მეგობარს ქალს და სათითაოდ სთხოვა—10 ცენტი (ცენტი თითქმის 1 კაპეიკს უდრის) გამომიგზავნეთ ომში დაჭრილთა სასარგებლოდ და თქვენც ამავე თხოვნით მიჰმართეთ თქვენს ოთხს მეგობარსა და დაავალეთ, რომ ამ გვარივე წერილი თითომ თავისს ოთხს მეგობარს ქალს მისწეროსო. ქ-ნი შენკი სცხოვრობს პატარა ქალაქ ბაბილონში. ერთის კვირის შემდეგ ამ ქალაქის საფოსტო კანტორა გაივსო ქ-ნ შენკის სახელობაზედ გამოგზავნილ წერილებით. ერთს დღეს ქ ნ შენკს მოუვიდა 3.500 წერილი,—იმ ქალაქში, სადაც დღეში 300 წერილზე მეტი არ მოდის ხოლმე! ცოტა ხანს შემდეგ საფოსტო კანტორის უფროსს ყოველ დღე მოსდიოდა ასობით წერილი ფოსტის მარკით და ეკითხებოდნენ, შეგვატყობინეთ, მართლა დაჭრილთა სასარგებლოდ აგროვებს ფულს ქ-ნი შენკი, თუ ხალხს ატყუებსო. წერილებში პასუხისათვის რომ მარკები არა ყოფილიყო, კიდევ არაფერი. მაგრამ ეხლა რაღა გზა იყო, წერილების მომწერთათვის უნდა ეპასუხნა, რადგანაც ეშინოდა არ მიჩივლონ, რომ სხვის მარკებს ჯიბეში იწყობსო. საფოსტო კანტორის უფროსი ძალა-უნებურად დღე და ღამ პასუხებსა სწერდა. ასევე მოუვიდა ამ ქალაქის პოლიცმეისტერსაც. თვით ქ-ნ შენკს მოუვიდა 15 ათასი წერილი, ზოგი 2 დოლლარს უგზავნიდა და ზოგი მეტს. (დოლლარი 2 მანათს უდრის). ყოველ დღე ქ-ნი შენკი ორჯერ ჰგზავნიდა საფოსტო კანტორაში ორს დიდს კალათას წერილებისა და ფულის მოსატანად. ბოლოს საფოსტო კანტორის მოხელემა და პოლიცმეისტერმა უჩივლეს ქ-ნ შენკს და იმანაც გაზეთში გამოაცხადა, ჩემთან საკმაოდ შეგროვდა ფული დაჭრილთა სასარგებლოდ და ვსთხოვ ყველას, ვისაც იმათთვის გული შესტკივა-პირდაპირ საქველმოქმედო საზოგადოებას გაუგზავნოს ფულიო.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

1 სექტემბერი

**პეტერბურგი.** მე-65 ტირაჟი მეორე სესხის ბილეთების გათამაშებისა: ნომრები სერიისა:

18005, 287, 2969, 19125, 15003, 16150, 16982, 4199, 2317, 15299, 3711, 16525, 19578, 6215, 5137, 4215, 5686, 5164, 1583, 9662, 357, 4308, 17644, 7081, 1384, 13038, 14038, 17695, 3905, 6570, 17709, 18685, 6927, 13612, 12904, 12024, 165, 14166, 6504, 4154, 5456, 717, 4909, 3471, 2956, 14903, 3018, 5073, 19544, 5483, 13087, 19582, 6014, 16280, 12660, 10351, 10829, 14257, 2973, 12873, 5843, 10635, 61410, 8374, 15395, 7274, 15063, 742, 8357, 2545, 14815, 2445, 2342, 3515, 11045, 1573, 19348, 15547, 13231, 968, 1347, 18447, 3506, 9635, 12303, 13620, 19668, 9884, 4196, 5944, 1648, 641, 84177, 16410, 15773, 3680, 1189, 680, 2115, 19179, 8543, 17190, 11295, 1831, 15804, 17214, 4091, 8326, 7093, 7418, 9799, 16883, 4817, 16553, 7149, 9451, 11900, 15491, 713, 15712, 9923, 12779, 8794, 8691, 13198, 15109, 2164, 14324, 12681, 5026, 14558, 1279, 12724, 4365, 13104, 3206, 2722, 952, 15045 7441, 12254, 11167, 7652, 13027, 8109, 3476, 13041, 2851, 15189, 5218, 19948, 17754, 2646, 17375, 1016, 765, 3904, 18280, 8649, 5561, 3288, 12642, 19452, 402, 18737, 6594, 10447, 15913, 2223, 10423, 16409, 2784, 3626, 6574, 12525, 2069, 15165, 1023, 620, 17519, 12167, 3346, 5551, 3712, 18517, 7348, 4559, 2684, 5176, 8084, 8729, 3007, 8481, 2011, 15783, 17405, 4328, 19700, 6508, 18096, 3068, 12891, 8204, 13302, 8716, 3353, 951, 974, 18461, 5284, 17072, 19720, 1382, 10631, 18111, 1647, 1547, 9470.

2 სექტემბერი

**ტულონი.** ჯავშნიანი გემი „ბუვე“ კრიტის კუნძულისაკენ წავიდა ჯარის სამის რაზმით.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოს მეორე კრება ნაშუადღევს დაიწყო და $5^1/_2$ საათამდე გასტანა. სამხედრო მინისტრის წინადადებით პრეზიდენტმა სამსახურიდგან დაითხოვა დიუ-პატი-დე-კლამი, რომელიც ამით დასჯილ იქმნა იმისათვის, რომ პოლკოვნიკის ესტერგაზის საქმეში უკანონოდ იქცეოდა და ეს გამოაშკარავა მთავარმა შტაბმა. სარიენმა გამოუცხადა თავის ამხანაგებს, რომ კიდევ საჭიროა დრო მომცეთ, ვიდრე სრულიად გამოვიკვლევ იმ საქმეებს, რომელიც სამხედრო მინისტრმა გადმომცაო. შემდეგი კრება დანიშნულია შაბათს.

**ბერლინი.** „ჩრდილოეთ-გერმანიის გაზეთი“ იუწყება, ხმა დადის, რომ იმპერატორი ვენაში აპირობს წასვლასაო. იმპერატრიცას დასაფლავებაზედ დასასწრებლად, რომელიც 5 სექტემბერს მოხდება.

**მადრიდი.** სენატი. ალმენისმა სასტიკად გაჰკიცხა გენერლები. პრიემომ, კამპამ და ბაიმ წინააღმდეგობა განაცხადეს. ვეილერმა მოსთხოვა ალმენის დაასახელეთ, ვისა ჰკიცხავთ, თორემ მუშტით გაქცემ პასუხსაო. განუწყვეტელი ხმაურობა ატყდა. პრეზიდენტმა ზარი გასტეხა.

**პეტერბურგი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა, რომელიც დროებით პეტერბურგიდგან მიდის, გარეშე საქმეთა სამინისტროს გამგეობა მინისტრის ამხანაგს გრაფ ლომსდოროვს გადასცა.

პეტერბურგის ბირჟა, 1 სექტემბერი

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გარიგებისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 217 | — „ | — „ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 97 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $100^1/_4$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 100 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | $289^1/_2$ | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | 250 | — „ | — |

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ, რომ მე არასოდეს არავითარი ცნობა არ მომიცია თქვენის გაზეთისათვის სტაქო (იგივე პლატონ) კალანდარიშვილის მიერ ოზურგეთელ მცხოვრებელ ჯაყელის მოკვლის შესახებ და აგრეთვე ამის შესახებ „ივერიაში“ ქ. ოზურგეთიდგან დაბეჭდილი კორრესპონდენცია მე არ მეკუთვნის.

თქვენი მარადის პატივისმცემელი ნ. ჯანაშია *)

## განცხადებანი

### ფოთის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს ამომრჩეველთა საცნობელად, რომ საარჩევნო კრება ფოთის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამოსარჩევად სამის წლის ვადით, 1898—1902 წლებისა დაიწყება 8 სექტემბერს 1898 წ., დილის 9 საათიდგან ქალაქის გამგეობის დარბაზში. ამომრჩევლებისაგან ხმოსნების თანამდებობაზედ კენჭის საყრელად დასახელებულნი არიან შემდეგი კანდიდატები, რომელნიც წინადადებულნი არიან ქვემო დასახელებულ ხმის რაოდენობით. (სულ წარმოდგენილი იყო 193 სია):

ნიკოლაძე ნ. ი. (ქალაქის მოურავი)—193 ხმა; ჰასან-ჯალალოვი ი. გ. (გამგეობის წევრი)—190 ხმა; კრუაშვილი ლ. მ. (გამგეობის წევრი)—184 ხმა; ტერ-ნიკოლოსოვი ნ. ა.—182 ხმა; გოგიბერიძე ი. ლ.—173; რუხაძე კ. ე.—172; ალხაზოვი მ. გ.—168; მენდელი მ. ბ,—167; დიდია გ. ნ.—156; მიქაბერიძე კ. ი.—155; ხუმარაძე ხ. პ.—149; ანდღულაძე მ. გ.—148; კაუხჩევი კ. ი.—148; პილიდი დ. გ.—147; კილურაძე ნ. ს.—141; ჩოჩუა სოლომონი—134; ნამიჩეიშვილი ნ. ს.—128; სტავრიდი გ. ს.—124; ხოშტარია ა. ი.—123; პრაველნიკოვი ა. ა.—122, ქავთარაძე ს. ბ.—122, საბახტარიშვილი ა. რ.—116; პლოხოტნიკოვი ვ. პ.—115; გროდსკი მ. ი.—114; გოგინავა ს. დ.—113; საბახტარიშვილი ბ. რ.—107; ჟვანია ა. პ.—103; შაფათავა პ. ე.—103; თოფურიძე ვ. ი.—99; გრიგოლია დ. გ.—91; ეგორშევი პ. ს.—91; მეიერი ე. რ.—88, ჯაიანი გ. ი.—82; სიორიძე ნ. გ.—82; გაბელია ბეჩუ ტ.—80, ჩოჩუა სამსონ—80, ალანია ა. ა.—76; ფანცულაია დ. ს.—76; კალანდაძე ი. გ.—75; ტკაჩენკო ნ. ფ.—75; ხუნჯუა ი. ს.—75; ტეროვაკიმოვი გ. ო.—72; კაკუტია ბახვა—72; ანცევი ი. გ.—70; ლოლუა ა. დ.—68; გუგუშვილი ა. დ.—66; გუგუშვილი ა. ნ.—63; გუგუშვილი დ. ნ.—62; მამფორია ი. ა.—62; არუთინოვი მ. ხ.—59; გაბუნია ე. მ.—59, გეძეევსკი ი. ვ.—58, გაბუნია გაიოზი—56, ესაკია მ. ვ.—53, მაკალათია დ. ნ.—52 გაბელია ე. დ.—51, კაჩარავა ა ხ, —50, პერედერია ვ. ნ.—48, ასათიანი ი. ი.—47, კონოვალოვი ლ. ვ.—45, ხოშტარია, ს. თ.—43, თურქია ი. თ.—42, ტერეშენკო ი. ი.—41, კაგაროვი ბ. ი.—39, ბერეჟიანი ს. ბ.—38, შაპირო დ. გ.—38, მოისენკო ა. ა.—37, კიგურაძე ამ. ტ.—31, ცალქალამანიძე ი. ი.—31, მაღნარაძე კ. ს.—30, ინასარიძე კ. ე.—29, კიზირია პ. ი.—29, შტენცელი ი. ო.—28, ხარაზოვი ვ.—27, ბარკალაია, ა. ს.—26, კოჩერგინი კ. დ.—26, ბახმეტიევი ა. პ.—15, მახარაძე კ. ხ.—14, გაბელია ბახვა—13, ურუშაძე სტ. გ.—13, ბჟალავა სამს.—12, კიზირია კოხტა—12, ნეკრასოვი ი.—12, გოგინავა ბ. კ.—11, გრიგოლია ა. დ.—11, ჯორბენაძე ა.—10, ჩაჩავა კ. ტ.—10, ქყონია ს. თ.—10, გოგვაძე დ.—9, ქართველიშვილი ნ.—9, ხაპერია ა. ნ.—9 ლუკაშევიჩი ი. კ.—8, ბრეგიძე რ. ე.—7, ლეხნიცკი თ. მ.—7, ჩხარტიშვილი ი.—7, ელიავა დ. გ.—7, კონოვიჩი დ. კ.—6, ნედოსვიატი ა. ი.—6, ვარძელოვი ს. ი.—5, გუგუშვილი ტ. ხ.—5, ჯოჯუა ტ. ო.—5, სარდაროვი ს. ვ.—5, ტულუში, დარისპ.—5.

ქალაქის გამგეობა 5 სექტემბრამდის მიიღებს განცხადებას კანდიდატისაგან, საარჩევნო ყუთის დადგმის სურვილის შესახებ *). (3—ნ.—1)

*) ამითი ვაცხადებთ, რომ ზემოხსენებული ამბავი ბ-ნ ნ. ჯანაშიასაგან არ არის ნაუწყები.

### სენაკის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

ამ სასწავლო წლისათვის სკოლის პირველს განყოფილებაში 35 ვაკანსიაა თავისუფალი, მეორეში—11, მესამეში—9 და მეოთხეში—16.

თხოვნების მიღება აგვისტოს 28-დგან დაიწყება; თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ მოწმობანი ნათლობისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობისა, რომ მოსწავლის მშობლები ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლებიან, ან იმისი საბუთი, რომ თავად-აზნაურთაგანნი არიან.

ხელ-მეორედ გამოსაცდელი მოსწავლენი უნდა გამოცხადნენ 29-სა და 30 აგვისტოს, ახლად მისაღებთათვის-კი ეგზამენები ვაკანსიების შევსებამდე განიგრძობა.

თუ თავად-აზნაურთა შვილებმა ვაკანსიები ვერ შეავსეს, მაშინ გლეხთა შვილებიც მიიღებიან, მხოლოდ სწავლების ქირა გარდახდებათ ქუთაისის და სენაკის სკოლათა სამზრუნველოს გარდაწყვეტილებისამებრ 6-დგან 12 მანეთამდე.

შესაძლებელია ამავე წელში 1 კლასიც დაარსდეს სამეურნეო განყოფილებითურთ: ამ ჟამად მზადდება პროგრამმა და იწერება მოხსენება განყოფილების დაარსების შესახებ. სწავლა 5 სექტემბრიდგან დაიწყება.

სკოლის მმართველი ს. ყიფიანი (6—ნ.—2)

*) პირველად ეს განცხადება შეცდომებით დაიბეჭდა, სწორედ იბეჭდება დღევანდელსა და შემდეგ ნომრებში.

Довзолено цензурою, Тифлисъ 2 го Сентября 1898 г.    სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.    რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.